ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეოცნებე ნიამორები

საქართველოს ... ეროვნული
ბიბლიოთეკა
წიგნ. №
წიგნის პალატა

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲔᲠᲣᲗᲔ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ
1921

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 3436

ᲨᲘᲜᲐᲫᲘᲐᲠᲘ.

გრიგოლ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ—ᲝᲠᲘ ᲡᲝᲜᲔᲢᲘ.

გრ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘ—თეთრი თოვლის მოგონებები.

კოლაუ ნადირაძე—მონოლოგი საქართველოზე.

ინ-რე-ᲟᲐᲜ—ჩვენება ღამის ტაძარში.

ვ. გაფრინდაშვილი—ტოსტი ᲐᲨᲝᲠᲓᲘᲐᲡ გარდაცვალებაზე

კოკი ებრალიძე—ტირილი თხის ფეხთან.

სანდრო ცირეკიძე—სონეტი პროზით.

სერგო კლდიაშვილი—მზე ბალდახინზე.

სანდრო ცირეკიძე—პარალელები.

ვ. გაფრინდაშვილი—Terror antiquus

ლადო გუდიაშვილი—ᲧᲓᲐ (ნიამორები)

რედაქტორი—ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ამწყობი—ᲔᲠᲛᲐᲚᲝ ᲛᲔᲒᲔᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

№ 5

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიბოლ როგაჟიძე.

ტიციან ტაბაძეს

შენში იწვიან ძველ ქურუმთა ლოცვის თესლები:
ტკბილი სინელით ესიტყვები გვართა მოირას.
ხსოვნას გილ ბობენ იზიდასი შენ სარეცლები:
ქალდეას სიზმარს რომ აგძელებ ასე ზმორიანს.

ცხელ ზმანებაში: ქვეყნის საშოს თითქო ეცლები:
ჟღალი თვალებით „შიში ძველი“ შენთან მოიარს.
წარღვნის სიავით ამღვრეული დაიგესლები:
სიკვდილის ღრენა ფიქრს დაგიფთხობს როგორც მორიალს.

ღამის გუბეში გალეშილი ბნელი ქაოსი:
შენში აპირებს მუნჯი რიტმის უხვად ამოცრას,
როს მოგესმება ლუში ლორწი მისი ხავოსი,—

ყივილით ისვრი საიდუმლო სიტყვას საოცარს.
არ შეგეშინდეს ძნელი ცნობის: ბავშო ტიციან:
რომ დითნისო შენი ჩუმი ძმად ნაფიცია.

სტამბოლიდან—ბათუმს.
1919. მარტის 31.
ბრიტანიის გემი
„კატოომბა“

ვალერიან გაფრინდაშვილს

შენ გესმის მუდამ ჯადოსანი ხმა შორეული:
სურნელოვანი შენში თითქო ვიღაცა მოჰკლეს.
ორეულების მასკარადზე სიზმარეული
მალვით გინიშნავს შენი ცალი პაემანს მოკლეს.

მოლუშო მასკით შენც იქ მიხვალ თვით ორეული:
მაგრამ მის ადგილს შეეყრები მხოლოდ მის მომკელს.
შიში აგიტანს: გადასძახებ ძველ ემპედოკლეს:
რომ სიტყვით შეჰკრა ეს ქვეყანა გადარეული.

და შენი ხელი ახელებით ცდას ვეღარ ითმენს:
უვალ ხრამებში ის მოანგრევს და ბელტავს რიტმებს.
მაგრამ ხანდახან სარკე ხილვას რომ დაგპირდება,—

შენში უეცრად აიშლება მარადი ქვრივი:
დაგირბილდება მაშინ შენი სონეტი კვრივი:
და ულმობელი უცნობისთვის შენც ატირდები.

ბრ. ჯაფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი თოვლის მოგონებები.

ო—თეთრი თოვლი—თეთრი თოვლი—
სიზმარის ფერი და მოქანცული
მაგონდება მე თეთრი ქალწული
და ის წუთები რომ აღარ მოვლენ.
თეთრი ქალწული—ო, თეთრი თოვლის
მოგონებები აჩუმებს ტუჩებს—
ყველაფერს ამ ნაზ სიზმარს აყოლებს
და თოვლის ფერად ყველას აყუჩებს.
და მოგონება ქოშების კვალის—
ის ერთ წამებულ წამში ერთდება
და ტირის დღესაც—და ტირის ხვალეც
სასოწარკვეთილ წითელ წვეთებათ.
ო, სასტიკია ეს საპყრობილე!
მე მტანჯავს ფიქრი, ერთი ეჭვი რო
ჩვენი შეხვედრა არა ყოფილა
არც საოცნებო და არც საჭირო.
და ის ზღაპრებიც ხომ აღარ მოვლენ
ჩვენ რომ გვავსებდენ სითბოთი ნაზად—
სიზმარი მიდის და თეთრი თოვლი
ცივ სინამდვილეს ჰფენს ქვეყანაზე.
ღმერთო, გავედრებ მე ყველას—ყველას,
მე, დაჩოქილი და საცოდავი,
ვინც სიყვარულში წითლად ახველოს
და ასე მწარედ ჩაჰკიდოს თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოლაუ ნადირაძე

მონოლოგი საქართველოზე ნაშუადამევს 28 სექტემბერს

დავაკვირდები გაკვირვებით შენ მაცდურ სხეულს:
გარდაიცვალენ თურმე შენთვის დიდი გმირები;
რათ ალმაცერობს ჩემი სული ნაცდომი წრეულს?
გმირულათ სიკვდილს ნუთუ ახლა მეც ვეპირები!

სიმტკიცე ძველი ფუქსავატი და იპვიანი...
გიპირდაპირებ ჩემ სიძულვილს, ხველებას მწარეს.
აგათრევს ღამით ეშაფოტზე ქურდი ვიონი
და გიდელივით გადაგკიდებს რქებიან მთვარეს.

საკორწიანო დაქანდება გაყინულ ხელით,
მაგრამ ავია მთვარის ხაშმი, სურნელი მღვრია;
შენ გადარჩენას ამ ქროლვაში ამაოთ ელი,
არყოფნა მოდის. უფსკრულები სიცივით ჰქრიან.

ვუმზერთ ერთმანეთს დაიპვებით: მაგრამ ქურდულათ...
ჩემ დამარცხებით ვერასოდეს ვერ იმამაცებ!
მალე სიკვდილი დაგედება მძიმე ურდულათ
და მონოლოგით ნაშუადამევს აგაბარბაცებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენება ღამის ცაბარში.

ბოდიაკიდან: ეფვენი ცაზე

სიზმრის ბაღებში ისახება ერისიონი.
სანთლის ცრემლებათ როს იღვრება ლოცვის წუთები
და სიჩუმეში მოღალადე თეთრი სიონი
წმიდა ოსანით სხვა განთიადს ესათუთება,—

თუმც იგვიანებს მოლოდინის უცხო ღვთაება
მაგრამ აქ თვალი არ ჩაჰქრება შანდლებთან ერთად
ფიქრი ლოცვებში უნაზესად დროს გადაება
მას თეთრი სული ეცხადება უკვდავ წვის ღმერთად

ჩუმად შენდება საოცნებო ბროლის აღალმა
მის წყნარ სახეზე დაისვენებს თვით სასოება
და თუ აანთო კვლავ შანდლები სხივმა ახალმა,
ვეღარ დაჩრდილავს სულს წარსულის ამოება.

სანთლის ცრემლებათ როს იღვრება ლოცვის წუთები
და ნათელ ზეცად მათ აღავლენს თეთრი სიონი,
წმიდა ოსანით მეც განთიადს ვესათუთები
სიზმრის ბაღებში მესახება ერისიონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან გაფრინდაშვილი

საშგლოვიარო ლოსტი ამორდიას გარდაცვალებაზე.

ჩემმა ოცნებამ ცის გაღებულ კარებს მიასწრო.
მოველი ჯარებს დაისიდან, ვით კეისარი.
ორი სარდალი: ამორდია და კალიოსტრო—
იწყება ომი ძველებური შუბით, ისარით.

ცრუ ქიმერები შეებრძოლენ ცრუ აზნაურებს.
სიკვდილის ცეცხლში გაჰკივიან ამორძალები.
თავის დანაკლისს იმ წუთშივე ინაზღაურებს
გრაფ კალიოსტრო და სწორია ისევ ძალები.

ქმნიან: რაინდებს ამორდია დაუზვერავი
და კალიოსტრო-ჯავაირჩი ურთიან საპფირებს.
ლურჯ და ალისფერ ლაშქრობაში მეტობს ვერავინ,
მაგრამ დახვევას თვალ-ლალების მეფე აპირებს.

მას ქართულ ჯარით ჩოხოსანი გაეკიდება.
აზნაურები ამარცხებენ ბროლის ყაჩაღებს.
და რადგან ერგო ამორდიას მეფის დიდება—
მარგალიტის ტახტს დაისებში ის გააჩაღებს

ახლა უყივის თავის მგოსანს—უნდა აჩუქოს
თავადის ღერბი—ზიარების ზამბახათ შლილი.
ოქროს გვირგვინით სამუდამოთ რომ გააშუქოს
თავის მემკვიდრე—ვალერიან გაფრინდაშვილი.

1920

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოკი ებრალიძე.

ტირილი თხის ფეხთან.

ფერმიმქრალი ფიქრი უმთვარო ღამეში.
შიუწდომელ ლანდებში უსულგულო მთქნარება,
სნეული ნეტარება ცრემლის ღვრა ტოლ-ფარდებაში
მკლავებში რევოლვერის განუყრელი ტარება.

ათასგვარი ნდომები ხვეული შავი ფარდით.
მონაცრული დარდით ნერვის ტოკვა ხმაური
დაზამთრება ზღვაური უთვალავი ვარდით
გვირგვინიან დარდით შორს კივის მეზღვაური!

ვის უნახავს, ვის, განცდა ვნებით მწყურვალ თამარის?
საშიშარი რამ არის ტარიელის რკალებში.
შავ უსაზღვრო თვალებში უფსკრულია სამარის
მას ბებუთი ქამარის—უთამაშებს მკლავებში.

ვერ მივწვდი მას ორლესულს ჩუმი ჭლექის ნატეხი,
თუმც მასხია ცხრა ფეხი ოქროს ფრჩხილით მარმარა—
ქრისტემ დამასამარა ჭაბუკი ანატეხი
სიქალწულის თხაფეხი ვაი რაფერ დამჭკნარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო ცირეკიძე.

სონეტი პროზით.

უდაბნო გზაზე იყო ბროლის კოშკი.
დაისი რომ გაფითრდებოდა ჩამავალ მზისთვის,
დაგვიანებული მგზავრები დაისვენებდენ ბრინჯაოს კარებთან.
პირიმზე მიიწვევდა ერთს.

თავგადასავალს უამბობდა არჩეული.
ყველას ენახა ძვირფასი ქვები, მეფეები, დიდი ქალაქები.
გააზმორებდა მზეთუნახავი ძველი ამბით მოწყენილი.
ვაჟი აედევნებოდა თავის ქარავანს.

ერთხელ შორით მოვიდა მგზავრი ფეხშიშველი.
პირიმზის დაღლილმა ცქერამ აანთო იგი.
ალაპარაკდა მათხოვარა ციდ ღამეებზე, სიშორეზე.

განთიადისას ბროლის კოშკი დაცალიერდა.
უდაბნო გზაზე ისევ მიიმღერიან უცხო მგზავრები.
დანგრეულ გალავანთან ფეხს აუჩქარებენ.

1913.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

მზე ბალდახინზე

მთების ფერდოებზე და მის ძირს ველზე სამხრეთით, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით ყვითლად გამხმარა ფოთოთოხლის ტყეები. ტბაში იხედება ფოთოთოხლებით დამძიმებული შტოები და წყალი ყვითელფერობს. ქვიშა და სილა დაყრია მიწის ბებერ ზურგს.
მშვიდათ ასვენია მზე ბალდახინზე.
უთვალავი ტანი სითბოს მონატრული ზანტათ იზმორება ბალდახინის გრილ სვეტებთან. დაღალული თვალები როგორც სიზმარში უყურებენ ერთმანეთის ყვითელ კბილებს. ზღვის დაობებული ნაპირი აღარ მოელის შორეულ ხომალდებს დატვირთულს ფარჩით და ძვირფასი სამკაულებით. უკანასკნელათ ცისფრად იელვა თალმა და წმინდა ქალწულის გადმოხედვა გაიბნა სივრცეში. სამყაროს ხაშმიანმა ცქერამ უეცრად შენიშნა ახალი კერპი. ქონით გატენილი ქალის დიდი ტანი, შეუმოსავი, ურცხვი, გაბერილი მუცლით, ძუძუებით როგორც მწიფე კვახები გადმოეყუდა სივრცეს და მიიღო თაყვანი გაცივებული სამყაროსი.

***

ჯერ არ გადმოაბიჯებს შენი ქოშები ჩემ ჭიშკარს მოწნულს თხილის წნელიდან, მაყარის ეზრებზე არ მოახვევს სეფე ქალი სამახაროვლო წითელ აბრეშუმს, მაგრამ ყოველთვის ხარ ჩემ საათებში და არ არის დრო უშენოთ:
დღეების გარდაცვლა მიახლოვებს შენს მოსვლას და სამუდამო მაყრებათ მოგდევენ ტანის წირვების ღამეები.
შენ შემოხვალ როგორც დიდი სიხარული. ხალიჩების სიჩუმე ალერსით დაგნებდება ძვირფასი ქალბატონის ნაბიჯებს და ყველა სიხარული და მოწყენა გადმოაბიჯებს მხოლოდ შენიდან.
იქნება საათები როცა სურვილი გახდები მხოლოდ შენ და შენი თმების სურნელებაში დამთვრალს დამეზარება დატოვება აშლილ ნაწნავებში დასიზმრებულ სამყაროების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო ცირეკიძე

პარალელები

მოვლენათა სწორი ასახვა საქმეა ფოტოგრაფიის და მეცნიერების. მათი თავისებურად დალაგება—სტილიზაციაა და მოდერნიზმი. მაგრამ არიან სხვები, რომლებმაც ქვეყანას უცნაურად შეხედეს.

მოვლენების იქით საგნები იზმორებიან უცხონი. სოფელს დიდი ხანია გაუჩნდა ორეული და მოჩვენებებით დასახლდა ქვეყანა. გაიცრიცა ფირუზის ცა, აინგრა ზურმუხტის ხმელეთი და მოისმა სუნთქვა ქაოსის. აქ აღარ გამოდგება კოდაკის აპარატი. ორი, თვალი ადამიანის დაძველდა. პოეზია და რელიგია იხედებიან მოვლენათა გადაღმა და მათთვის საჭირო შეიქნა ათვისების და გამოთქმის ახალი ფორმები.

მას აქეთ რაც ადამიანმა იგრძნო სოფელი წარმავალი, იგი ჰაერში დაეკიდა და ეძებს მაგარ წერტილს თავის ნიშნის მისამაგრებლად. აქ გაიყო გზები მოგვის და პოეტის: რელიგია ეძებს ნამდვილ ორეულს ქვეყნისას და უნდა ეზიაროს მის უკვდავებას. პოეტმა თავიდანვე იპვის თვალით შეხედა ამ ძიებას. იმან დაიჯერა, რომ ღმერთს ჰეშმარიტს ვერ იპოვის და ეძებს მხოლოდ მის ბუტაფორიას.

ყოველი მოვლენა თავისთავად კენტია და საწყალი. ისინი ცოდვილებივით მოდიან პოეტის ანთებულ თვალებთან და შიშით ელიან მის განაჩენს. პოეტს მინიჭებული აქვს იგრძნოს იმათ გადაღმა დიდი პარალელი უკვდავების. სათითაოდ ამართლებს და ფასს აძლევს სახეებს. მოვლენა პოეტის რეკომენდაციით— დადაღული ღირებულებაა.

„ვაძლევ ქიმერებს მე-პოეტი აზნაურობას“.—

ამბობს ვალერიან გაფრინდაშვილი. ესაა მისია პოეტის: ქვეყანა ტანჯიანია. ტანჯაა მოვლენათა წარმავლობისათვის. პოეტმა უნდა შექმნას მაგარი ფონის ილუზია, რომ მიალურსმოს წარმავალი. ჰეშმარიტად მოვლენათა ჯვარცმა შეიქმს კათარზისს ბარათაშვილის სულისას.

პოეზიაში მოვლენები იწმინდებიან და მარადიულის შრიალი ისმის იმათ-იქიდან. ნ ი ვ თ ე ბ ი ა ი თ ვ ი ს ე ბ ი ა ნ, რ ო გ ო რ ც ნ ი შ ნ ე ბ ი გ ა მ ო უ თ ქ მ ე ლ ი ს დ ა ს ა ხ ე ე ბ ი ხ დ ე ბ ი ა ნ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ.

მაგრამ უკვე ტრადიციულია ჭორი პოეზიის დაპირისპირებისა სტილისტიურ პროზასთან. მარცვლების ერთი ზომით გადამთვლელი არაა პოეტი. პოეტია ის, ვინც იგრძნო ფენომენალობა სამყაროსი და აჩრდილი მარადიულის. პოეტია, ვინც კოშკები აუგო ჟამთა სიავეს და როსტომ მანველიძე ბუხართან გაათბო. გამოთქმის საშუალება სტილის საკითხია მხოლოდ.

პოეტი მოგვია და მისტიფიკატორი რამოდენი ეთ. ის არ გვაჩვენებს ჰეშმარიტ ორეულს ქვეყნისას. ის მხოლოდ გვამცნობს მის შესაძლებლობას და არლეკინის კოლპაკში დასტირის კარტონის სატრფოს.

F3436

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი არ შეიძლება იყოს ნატურალისტი. ის, ვინც ენდობა ორ თვალს, ვერ იგრძნობს უფსკრულებს ნივთების შუა. ნატურალიზმის დამსახურება ისაა, რომ იმან პირველათ დაინახა სიმახინჯე. სინამდვილე მახინჯია, მაგრამ სიმახინჯის ფოტოგრაფია არაა ესთეტიური ღირებულება. ნატურალიზმმა მოიტანა აწინდელ პოეზიაში ეს უცხო ხილი და საჭირო შეიქნა მისი ესთეტიური გამართლება.

ათვალწუნებული მოვლენები ბოდლერის „ბოროტების ყვავილების" და ვერლენის ცოდვიანი ლექსების შემდეგ ახალ სურნელებას აკმევენ. ტიციან ტაბიძემ ორპირის სანაოებში ციებას სხვა სიყვითლე მისცა და ღვდელსა და მალდარიას სამუდამოთ ჯვარი გადასწერა.

ნატურალიზმი ჰგულისხმობს პოზიტივიზმს და ქვეყნის მთლიანობას. პოეზია არასოდეს არ იქნება პოზიტიური. იგი მისტიციზმია და კაბალისტიკა ნიშნების. ნატურალიზმი სტატიურია, პოეზია—დინამიური. პოეზია ქმნის ახალ ღირებულებას.

პოეტის აზროვნობა მეტაფორულია. პოეტი ეძებს ნივთების ფარულ დამოკიდებულებათ და ქმნის პარალელურ შეფარდებებს. ნატურალისტის ერთიან ქვეყანას არ ემჩნევა ფენომენალობა. სანამ გვაქ ერთი შეფარდება $\frac{A}{B}$, იგი მაგარია და მძიმე. როდესაც ითქმის მისი თანასწორი $\frac{C}{D}$, როდესაც შეიქმნება რეალობის შესაბამი სახეები, მაშინ იგრძნობა დენა ჟამთა და უცნაურად ამჩატებულ ნივთების კადრილს მიყვება დაბერებული სახე სამყაროსი. ფარდა გადაეხდება საიქიოს და მის წინ ვდგევართ ტრაგიულ სილუეტებათ.

რეალობა, მეტაფორათ გაგებული, იცრიცება და ხდება გამჭვირვალე. მაშინ დავდგებით პირისპირ ქაოსთან და მას უნდა დავარქვათ ახალი საშინელი სახელი. ინდივიდი მოვლენა იშლება მარადიულში და ეს კოსმიური გრძნობაა წმინდა ესთეტიური განცდა.

სიმახინჯე გადაიქცა ახალი პოეზიის მთავარ თემად. სიმბოლიზმის თეორიებში მოთავსდა რეალიზმი (realibus ad realiora) და რკინით და ფოლადით გაშავებული ქალაქები მატერიალურ სიმძიმეს ჰკარგავენ ემილ ვერხარნის კეთროვან ლექსებში და მირაჟებათ გადაქცეულნი ახალ თრთოლვას იწვევენ. პოეზია გვაგრძნობიებს მთელ პირობითობას ქვეყნისას და ბევადება სურვილი, რომ ეს მახინჯი ნიღაბი გადავხადოთ მის უთქმელ ქვედაპირს. სიმახინჯე რეალობაა და მეტაფორაში იგი საშუალებაა მისტიური განცდის.

პოეტისათვის ლურჯი ფარდა გაიხა, მაგრამ იმის გადაღმა ის გვიჩვენებს ყალბ სასძლოებს და გვაჯერებს თავისი გატაცებით. ვალერიან გაფრინდაშვილის თქმით—პოეტი აშორდიაა და შისი სახეები—ყალბი აზნაურები. პოეზია ქვეყნის ბუტაფორიული გამართლებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან გაფრინდაშვილი.

Terror antiquus

I

ჩვენი დროის პოეტს გაბედულათ შეჰყავს ლირიკაში საშინელი და მახინჯი სახეები. ფრანსის ჟამესი ნატროობს ვირებთან ერთად სამოთხეში შესვლას. ვერლენმა თავის „კალეიდოსკოპში“ მოსწამლა ჰაერი შარდის სუნით. ბოდლერი ცხენის ლეშს ადიდებს და სტოვებს უყურადღებოდ ბანოვანებს. იგივე ბოდლერი აღიარებდა შავი ვენერის კულტს. გოფმანმა ქალის მანეკენი შეიყვარა და რაინდულად დაჩოქილი ეფიცებოდა მას ერთგულებას. ლოტრეამონის მუზა არის მშვენიერი გომბეშო. არიან სხვა პოეტებიც, რომელნიც კატებივით ერიდებიან ტალახს და უთუოდ ხელთათმანი აცვიათ. მაგრამ პოეზიის გიგანტებს ედგარ პოეს და მალარმეს სახე გამურული აქვთ და იმათ არ ეშინიათ სიმახინჯის, რადგან მიხვდენ სამუდამოთ, რომ სიმახინჯე ქმნის ახალ სილამაზეს. ეს სასწაული სიმახინჯის ფერისცვალებისა ხდება ზედმიწევნით ლირიკაში, ეპოსში კი, თუნდაც ავტორი გენიალური მხატვარი იყოს, სიმახინჯე რჩება სიმახინჯეთ—მაგალითად გოგოლის ტიპები. ლირიკამ გარდაქმნა მთელი რიგი მახინჯ სახეების და აზიარა ისინი ესთეტიკას. ვოლტერი ამბობდა: ჩემი იდეალი არის გომბეშო. შექსპირი ამბობს მაკბეტში: საშინელი მშვენიერია და მშვენიერი საშინელია. ჰიუგო ფიქრობდა, რომ სიმახინჯეს აქვს ათასი ფორმა, მაშვენიერს კი—ერთი. მახინჯს დიდი კავშირი აქვს საშინელთან. მახინჯი საშინელია, საშინელი კულტია თანამედროვე ხელოვნების. საშინელებას ბერძნულ ქანდაკებაში და ტრაგედიაში დიდი ადგილი უჭირავს—მაგალითად ლაოკოონი, მეფე ოიდიპო, პრომეთე. ანტიურ ტრაგედიის თავადებმა ესხილმა, სოფოკლემ და ევრიპიდმა იცოდენ იდუმალებაა საშინელის და მას დიდ ადგილს უთმობდენ თავის შემოქმედებაში. ჰომიროსის სფინქსები და ციკლოპები მახინჯი სახეების გამოფენაა. ბავრატის ტაძრის ნანგრევები სიმახინჯის შედევრია, როგორც ნოტრ-დამის ბრწყინვალე ქიმერები.

ბოდლერის ჰიმნი მშვენიერებას“ საშინელების აპოთეოზია. არსებობს დიდი კავშირი თანამედროვე ლირიკის და ანტიურ ტრაგედიის შორის:

ეს ტრაგედია და ლირიკა აღიარებენ საშინელების კულტს. ჩვენი დროის ლირიკა ანტიურ ტრაგედიის მაგიერობას ასრულებს. გრძნობას, რომელსაც განიცდის ტრაგედია, მაყურებელი, არისტოტელმა დაარქვა კათარსისი. ლირიკა არის განსაწმენდელი.

ის რაც ცხოვრებაში ლამაზია, ხშირად პოეზიაში მახინჯია და რაც სინამდვილეში მახინჯია, ხელოვნებაში მშვენიერია. ლამაზი და მშვენიერი ეროი და იგივე არ არის. მშვენიერება შექმნა ხელოვნებამ და ის ხელოვნების კათეგორია არის, სილამაზე კი არის ცხოვრების კათეგორია. ხდება ასეც, რომ პოეზიაში ლამაზი მშვენიერს უსწორდება, რომელთანაც მეტი კავშირი აქვს, მაგრამ მეტ აკტივობას იჩენს ხელოვანი, როდესაც შეჰყავს მახინჯი ხელოვნების სფეროში და მშვენიერ მოვლენად აქცევს. ხელოვნებაში მახინჯი არ კარგავს თავის გარეგან ატრიბუტებს, თავის ფორმას, მაგრამ მისი შინაარსი სულ სხვა არის და ესთეტიურია ის ემოცია, რომელსაც ჩვენ ვიღებთ მახინჯიდან ხელოვნებაში. ბუნებაში სიმახინჯეს ჩვენ ვაფასებთ ფორმის თვალსაზრისით, ხელოვნებაში კი როგორც ფორმის ისე შინაარსის თვალსაზრისით. როგორ ხდება ეს სასწაული, როდესაც მახინჯი გადადის მშვენიერში და მის ადგილს იპყრობს? ამაზედ ბევრ პასუხს იძლევიან. ამტკიცებენ, რომ მახინჯი არის მშვენიერის ქვედა საფეხურის დარღვევა უფრო მაღალი საფეხურის მისაღწევად. ჰიუგო ამბობს: მახინჯი არის რგოლი იმ ჰარმონიის, რომელსაც ჩვენ ერთბაშად ვერ ვითვისებთ. შელლინგი ნუსხავდა მშვენიერს, როგორც დამახასიათებელს. ბალზაკის აზრით ლამაზი წარმავალია, მახინჯი კი მარადი. შეიძლება აგრეთვე ავხსნათ ესთეტიური გრძნობა, რომელსაც იწვევს მახინჯი კონტრასტის კანონით, ესე იგი მახინჯი როგორც დისჰარმონიული არის პირობა მშვენიერის—ჰარმონულის.

დოსტოევსკი (მისი ტანჯვის კულტი ენათესავება მახინჯის კულტს) ამბობდა: პროზაული, მეტად პროზაული ფანტასტიურში გადადის. ამ თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ მახინჯი, როგორც არა ჩვეულებრივი, ახალი. ბოლოს და ბოლოს ხელოვნება იმდენად არის მისაღები, რამდენად იძლევა ის საქიროს წინაგრძნობას. მახინჯი ირრაციონალია და ის აკმაყოფილებს ჩვენს პოეტურ მოთხოვნილებას და ლტოლვას საიქიოსადმი.

II

ჩვენ სულში ერთი წუთით არ შერყეულა მშვენიერების გრძნობა. სიმახინჯე ჩვენ გვესმის როგორც სიმბოლო და როგორც ირონია. მახინჯს ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ, როგორც მოვლენის ზედაპირს, როგორც ფანტასტიურ ნიღაბს. ჩვენ არ გვიტაცებს ის, რაც პირდაპირი სახით გვევლინება—ჩვენ გვინდა ნიღაბი. ყველაზე უფრო საშინელი და ირონიული

ნიღაბი მშვენიერის არის სიმახინჯე. ზღაპრებში ბაყაყი გადაიქცევა დეფფლად. მახინჯში დატყვევებულია და იტანჯება მშვენიერი სული, რომელიც განთავისუფლებული უნდა იქნას ხელოვნების ჯადოქარობით. ჩვენი ცხოვრება მახინჯი ანარეკლია მეორე იდეალური სამყაროსი, რომელსაც პლატონი ჩვენს პირველყოფილ სამშობლოს უწოდებს. მახინჯს მეტი კავშირი აქვს ქრისტიანულ და არა ანტიურ კულტურასთან; ქრისტემ აღიარა როსკიპი, კეთროვანი, მათხოვარი და დააყენა ისინი ფარისევლებზედ უფრო მაღლა. არის ორი წყარო: ლამაზი და მახინჯი, რომელთა ბედნიერ შეერთებიდან იბადება ერთად ერთი მშვენიერება. თავის უკვდავ სონეტში „შესაბამება", რომელიც სიმბოლიზმის მთელ თეორიას შეიცავს, ბოდლერი ამბობს: არსებობს კავშირი შორეულ საგანთა შორის; როდესაც პოეტი ამ საიდუმლო კავშირს, (მალარმეს სიტყვით—ანალოგიას) ნახულობს, ჩვენ განვიცდით მარადისობის გრძნობას. ხელოვნებაში ხვდება ერთმანეთს ორი წინააღმდეგი მოვლენა—მახინჯი და ლამაზი და ამ მისტიურ შეხვედრიდან იბადება ახალი ესთეტიკა.

მახინჯი არის ვაჟური დასაწყისი, ლამაზი—ქალური. პირველში სჭარბობს იდეია, მეორეში კი ფორმა.

შემოქმედება ქიმიური პროცესი არის, რომელშიდაც სხვადასხვაგვარი ელემენტებიდან იქმნება ახალი ნივთიერება. პუშკინის „ქეიფი ჟამიანობის დროს", ტიუტჩევის მალიარია, ედგარის მოთხრობები, ბოდლერის ყვავილები, აპოკალიპსი, როპსის და გოიას სურათები მახინჯის გამარჯვებაა ხელოვნებაში. სინამდვილე თავისთავად მახინჯია—ლირიკა ამართლებს ამ სიმახინჯეს და მასში ნახულობს თავის იდეალს. ლოტრეამონის გომბეშო უფრო ანათებს პოეზიაში, ვიდრე შილერის რიტორიკა. სალომეია, ლიგეია, ლედი მაკბეტ გვავიწყებენ გრეტხენს და დეზდემონას. ესთეტიკის წინაშე ბაირონს გაამართლებს მხოლოდ მისი „კაენი" და მისი კოჭლი ფეხი. ინით შეღებილი და ცალი თვალით ბრმა აკაკი უფრო მისაღებია ჩვენთვის, ვიდრე სულიკოს ახალგაზდა ავტორი. წიწამურის ტრაგედიამ ოლიმპიელთა სიმაღლეზე აიყვანა ილია და დაჩრდილა მისი ბანალობას. შელლის სინაზე დაგვავიწყა ლაფორგის სინაზემ, რომელსაც ლოყები აწითლებული აქვს ბლექერთ. თანამედროვე პოეზიამ ისურვა მოვლინებოდა კაცობრიობას მახინჯ ნიღაბით, მაგრამ ამ ნიღაბიდან იყურებიან ბეატრიჩეს თვალები. სილამაზე ათასჯერ გაკოტრდებოდა აქამდი, რომ მას არ ეხმარებოდეს სიმახინჯე. უკანასკნელი არის გადაბრუნებული სახე სილამაზის. დღეს პოეზიას ქმნის ბოჰემა. ამ პოეზიას მედუზის სახე აქვს. ბოჰემამ გარდაქმნა თავისი სიღარიბე და კეთილშობილ აჩრდილად აქცია სიგიჟე და თვითმკვლელობა.

ლამაზი უშუალოა და პრიმიტიული, მახინჯი რთულია და სიმბოლიური. მახინჯი დინამიურია, ლამაზი სტატიურია. მახინჯი, როგორც უცნაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის წყურვილი არის ხიდი სინამდვილის და საიქიოს შორის. ნერონი მახინჯი იყო: ახლა ის უფრო მომხიბლავია, ვიდრე მარკ ავრელი და პეტრონიუსი. დანტეს ჯოჯოხეთი მახინჯია, მაგრამ ხელოვნებისთვის ის ძვირფასია, როგორც სამოთხე და სამოთხეზე უფრო მშვენიერია. ედგარის ყორანმა დააბნელა სამყარო და მთელი პოეზია დანავსა. დოსტოევსკის იდიოტი ფუტურისტების წინამორბედია და ეპილეპსია შედის ფუტურიზმის პროგრამაში. მთელი ფუტურიზმი მახინჯის ქადაგებაა, რამდენად ის უარყოფს გონიერ ხელოვნებას და იცავს გონების გარეშე მდგომ პოეზიას. პარადოქსი ამბობს: ახლა რომ პოეტმა ქალი შეიყვაროს, მას უთუოდ უნდა ჰქონდეს ერთი ხელი, როგორც ლუვრის ვენერას. ის უნდა იყოს ან კოჭლი, ან მუნჯი, ან ელამი, რადგანაც მხოლოდ მახინჯ ქალს შეუძლია აამღეროს პოეტი და ათქმევინოს გედის სიმღერა.

შეიძლება მოყვანა ურიცხვ მაგალითების, რომელნიც უმკვიდრებენ სიმახინჯეს ხელოვნებაში დიდ ადგილს, ტახტს თუ არა. სიმახინჯე არსად არ არის ისე ფანტასტიური, როგორც ლირიკაში. ეპოსში ის უფრო რეალურია და მიტომ უფრო მიუღებელია. მომავალ პოეზიაში კიდევ უფრო გაბატონდება სიმახინჯე, თუმცა ის თავის კავშირს მშვენიერებასთან არ დაკარგავს. ხელოვნების სფეროში სიმახინჯე სრულიად ბნეობრივი მოვლენაა და ცხოვრების უბნეობასთან საერთო არა აქვს რა. სილამაზის მარადი იდეალი არ არსებობს. ჩინელები და იაპონელები თაყვანს სცემენ მახინჯ კერპებს. ჩინეთში ყველაზე ლამაზ ქალად ითვლება ის ქალი, რომელსაც უფრო დამახინჯებული და პატარა ფეხები აქვს. შეიძლება მომავალმა ესთეტიკამ სრულიად უარყოს ის ხელოვნება, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ.

ჩვენ გვწამს, რომ ხელოვნება კიდევ უფრო გააღრმავებს თავის შინაარსს და ეცდება მთელი სინამდვილის გარდაქმნას. მახინჯი სახე თანდათან უფრო კეთილშობილი გახდება. იქნება იმდენი სილამაზე, რამდენიც კაცი და ნივთი არსებობს. ხელოვნება გააღმერთებს მთელ ქვეყანას და როგორც ქრისტე განკურნავს კაცობრიობას ყველა სენებიდან. დადგება დღე და სამყარო, როგორც მსახიობი მოიცილებს სახიდან დამპალ ნიღაბს და პირვანდელ იდეალურ სახეს დაიბრუნებს.

საქართველოს ... ეროვნული ბიბლიოთეკა
ინვ. № —
წიგნის პალატა

52ط.
ი 1/62
F 642
1924
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოკრასი ფანეთი